შესყიდვის ზოგადი შეტყობინება

პროექტის დასახელება	საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება
ქვეყანა:	საქართველო
სექტორი:	ენერგოეფექტურობა
დაფინანსების წყაროები:	ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაცია (NEFCO); აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი (E5P)
შესყიდვის ტიპი:	სამშენებლო სამუშაოები, საქონელი და მომსახურება
შეტყობინების ტიპი:	შესყიდვის ზოგადი შეტყობინება
გამოქვეყნების თარიღი:	1 ოქტომბერი, 2018

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (NEFCO) მიერ გამოყოფილი სესხისა და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდის (E5P) მიერ გამოყოფილი გრანტის გამოყენებას საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით: „საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება“. პროექტი, რომლის საერთო სავარაუდო ბიუჯეტი არის 4.7 მილიონი ევრო, მიზნად ისახავს ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვას ქვეყნის 26 საჯარო შენობაში. აღნიშნული შენობების საერთო ფართობია 70 000 $მ^2$ და მდებარეობს შემდეგ ქალაქებში:

- ახალქალაქი: 1 შენობა
- ახალციხე: 6 შენობა
- ყვარელი: 1 შენობა
- ქვემო ბოლნისი: 1 შენობა
- ლაგოდეხი: 1 შენობა
- მცხეთა, არშა: 1 შენობა
- მცხეთა, გორისციხე: 1 შენობა
- ოზურგეთი: 1 შენობა
- რუსთავი: 2 შენობა
- სამცხე, დიდი არაკალი: 1 შენობა
- თბილისი: 7 შენობა
- თელავი: 1 შენობა
- ზუგდიდი: 2 შენობა

პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მოიცავს დიზაინის შემუშავებას, საქონლის მოწოდებას და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას:

- სახურავებისა და კედლების თბოიზოლაცია
- ფანჯრებისა და შემინული ფასადების ჩანაცვლება
- ახალი სავენტილაციო სისტემების მონტაჟი
- ბოილერების ჩანაცვლება და მონტაჟი
- მილების თბოიზოლაცია
- თერმოსტატული სარქველებისა და სხვა ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების დაყენება
- თბური ტუმბოების მონტაჟი
- მზის კოლექტორისა და მზის PV სისტემების ინსტალაცია
- LED ნათურები შიდა განათებისთვის, და სხვა.

ზემოჩამოთვლილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერების გამოცხადება იგეგმება 2018 წლის მეოთხე კვარტალში და დასრულდება 2021 წლის მეორე კვარტალში.

NEFCO-ს სესხითა და E5P-ს გრანტით თანადაფინანსებული კონტრაქტებისათვის შესყიდვები განხორციელდება NEFCO-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში მითითებული პროცედურების თანახმად, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.nefco.org/sites/nefco.org/files/pdf-files/nefco_procurement_guidelines_12_dec_2013_0.pdf .

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ირაკლი ფარესიშვილი, მგფ-ს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge
მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული
თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +99532 2437001